05/03/2025

MES 0 25 0000240525

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 04.03.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:21
სხდომის დასრულების დრო: 17:48
სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოჩა თუთბერიძე -** შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **დავით ტეფნაძე -** შპს ,,საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
5. **აკაკი ხელაძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **თამარ ტუფინაშვილი -** შპს "ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსსიტეტის" აკადემიური მიმართულების ხელმძღვანელი;

8. **დიმიტრი ჯაფარიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
9. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
10. **ვასილ კიკუტაძე -** შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
11. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
12. **ქეთევან ნანობაშვილი -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი.
13. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
14. **ქეთევან ქუთათელაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზურუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ქეთევან ინანაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ანა ჯუღელი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- რუსუდან სანაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
- შოთა ფოთოლაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ირმა გრძელიძე - პროფესორი.

ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტი:

- აპოსტოლია (ლია) გალანი - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ევანგელია მავრიკაკი - პროფესორი.

შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი "აიიუთი":

- ქეთევან მდინარაძე - ბიზნესის სკოლის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნინო კარკაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
- რუსუდან კვარაცხელია - პროგრამის ხელმძღვანელი;

- ნათია ბუთხუზი - პროგრამის ხელმძღვანელი;
- კახი ყურაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აკრედიტაციის ექსპერტები

პირველი საკითხი:

- ევანგელოს ცილიგირისი
- ეკატერინე ფიფია
- სოფიო ჟღენტი
- ნინო პატარაია
- თამარი ხუციშვილი

მეორე საკითხი:

- იოხენ ზიმერმანი
- ეკა გეგეშიძე
- ია ნაცვლიშვილი
- მედეა ჯანჯღავა
- ალექსანდრე კალანდაძე

აკრედიტაციის დებულების 27 -ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გოჩა თუთბერიძემ**.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირების ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირების ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირების ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირება (ერთობლივი)
საფეხური: სადოქტორო
კრედიტების რაოდენობა: 55
სწავლების ენა: ინგლისური
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0111 - განათლების მეცნიერება
კვალიფიკაციის დასახელება: განათლების მეცნიერების დოქტორი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს გიორგი ღაღანიძემ, ვასილ კიკუტაძემ და ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუდის თავმჯდომარე, ევანგელოს ცილიგირისის, აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურა სწავლის შედეგებთან შესაბამისობაშია მოყვანილი. ხაზი გაესვა იმასაც, რომ დასაქმების პოტენციალი მაღალია აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. მისი აზრით, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო მობილობა არ არის ცალმხრივი და ოროვე მხარე თანაბრადაა ჩართული ამ მიმართულებით. პროგრამა ფინანსური კუთხით ადმინისტრაციის მხრიდან არის დაფინანსებული და აუცილებელია, პროგრამაზე მუშაობის დაწყება დროის უმოკლეს მონაკვეთში. ექსპერტთა რჩევაა, რომ ორივე მხარემ აქტიურად გააგრძელოს პროგრამაზე მუშაობა, რათა გახდეს უფრო მეტად ავტონომიური და გაუმჯობესდეს ინგლისურ ენაზე სწავლების ნაწილი. სასურველია პროგრამა მეტად კონცენტრირებული იყოს სტუდენტებზე, ვიდრე ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებზე. სტუდენტებისთვის ნათლად ნაჩვენები იყოს ის გზა, რომელსაც ამ პროგრამაზე სწავლისას გაივლიან. მნიშვნელვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის შინაარსი შეიქმნა მსოფლიოს წამყვანი კონსულტანტებისა და ექსპერტების ჩართულობით. იქიდან გამომდინარე, რომ გლობალური მაშტაბით უმაღლესი განათლება ვითარდება ძალიან სწრაფად, გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი საკითხები, რომლებიც გამოსადეგი იქნება სამომავლოდაც. შესაბამისად, პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს შინაარსის მუდმივ განვითარებაზე, რათა გლობალურ განვითარებას აუწყოს ფეხი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების ხარისხის უფროსმა, შოთა ფოთოლაშვილმა წარადგინა ინსტიტუციის პოზიცია. მან აღნიშნა, რომ ექსპერტებმა სიღრმისეულად და ობიექტურად შეაფასეს ყველა ის კომპონენტი, რაც ახასიათებს აღნიშნულ პროგრამას. ექსპერტთა დასკვნა მოიცავს ერთ რეკომენდაციას - „რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების პროცედურის ფარგლებში, კვლევითი პროექტისა და მიზნის განაცხადის შეფასები კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს და მკაფიოდ აისახოს დოკუმენტაციაში, რაც უზრუნველყოფს კანდიდატების კვლევითი შესაძლებლობების შეფასების გამჭვირვალობასა და პროგრამის მიზნებთან შესაბამისობას“. მისი თქმით, დაწესებულება ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას და მნიშვნელოვნად მიიჩნევს გარე შეფასებას სწორედ იმიტომ, რომ გარე მხრიდან ეს პროგრამის ნაწილი განსხვავებულად იქნა დანახული. აღინიშნა, რომ რჩევებსაც როგორც საგანმანათლებლო პროგრამა, ისე დაწესებულება გაითვალისწინებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა რუსუდან სანაძემ, აღინიშნა, რომ თავად პროგრამის შექმნის იდეა მოდიოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და კონკურსის წესით გაიმარჯვა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. დიდი მხარდაჭერა იყო ასევე მსოფლიო ბანკის მხრიდან. სწორედ ის იყო შუამავალი კომპანია და მთელი რიგი აქტივობების დამფინანსებელი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქართულენოვანი და უცხოელი სტუდენტების მოზიდვისთვის მეტი აქტივობების განხორციელება იყო საჭირო, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავარი აქცენტები ქართველ სტუდენტებზე იყო გაკეთებული, ბაზრის კვლევაც უზრუნველყოფს და ადასტურებს, რომ ამგვარი სპეციალობის მომზადება ძალიან მნივშნელოვანი და იშვიათია როგორც საქართველოს, ისე ბერძნულ რეალობაში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ პროგრამა არ არის აგებული ისე, რომ სტუდენტს გადაეცემოდეს კონკრეტული ერთი მიმართულებით ცოდნა, არამედ ეს არის დიდი აკადემიური სივრცის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტების განვითარებასა და მათ შემდგომ ზრდას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, რომ პროგრამა მუდმივად განიცდის განვითარებას, ეს გააზრებული აქვს დაწესებულებას და მთელი ეს პროცესი ორიენტირებული იქნება, რომ მთელი ეს პროცესი აღიჭურვოს თანამედროვე ცოდნითა და უნარებით.

ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კმაყოფილები არიან გაწეული შრომით და მადლობა გადაუხადეს კოლეგებსა და ექსპერტთა ჯგუფს ნაყოფიერი შრომისთვის. ხაზი გაუსვეს ასევე იმასაც, რომ ეს პროგრამა არ არის მხოლოდ ქართულ ბაზარზე და ქართველ სტუდენტებზე ორიენტირებული, არამედ მას აქვს საერთაშორისო მიმართულებაც. პროცესში ჩაიდო დიდი ძალისხმევა, რათა შექმნილიყო მაღალი ხარისხის პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ მას ჰქონდა რამდენიმე დამაზუსტებელი კითხვა. პირველი კითხვით მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ ვერ ნახა დოკუმენტებში ცენტრთან ერთობლივი ხელშეკრულების შეთანხმების ფორმა. მას აინტერესებდა ცენტრისგან ამ ერთობლივ პროგრამას თუ ჰქონდა თანხმობა და ხელმოწერილი ხელშეკრულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, შოთა ფოთოლაშვილმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ ერთობლივი ხელშეკრულება შეთანხმებული ცენტრთან და ასევე წარმოდგენილი აქვთ გაფორმებული ხელშეკრულებაც.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ნაწილი კრედიტებისა ერთ ინსტიტუციაში ხორციელდება ხოლო ნაწილი მეორეში. მას აინტერესებდა შესაძლებელი იყო თუ არა, რომ ერთი კონკრეტული კომპონენტის ათვისება მომხდარიყო როგორც ერთ, ასევე მეორე უნივერსიტეტშიც.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ განმარტა, რომ ხელშეკრულებაზე მუშობის პროცესი იყო საკმაოდ ინტენსიური, რადგან ეს იყო პირველი ერთობლივი სადოქტორო პროექტი, რომელიც ნებისმიერი ტიპის საერთაშორისო უნივერსიტეტთან ხორციელდება და შესაბამისად, ხელშეკრულების მომზადებას დასჭირდა საკმაოდ დიდი დრო. ხელშეკრულება დასრულებულია და ხელმოწერილია როგორც თსუ-ს რექტორის, ისე სენატის მიერ. თითოეულ კურსს ჰყავს როგორც ქართველი, ისე ბერძენი და არა მარტო ბერძენი ლექტორები. დაწესებულების გადაწყვეტილებით კვლევის მოდულს მთლიანად ბერძენი კოლეგები წარუძღვებიან, ხოლო დანარჩენ დარგობრივ კურსებს კი თსუ-ს ლექტორები. სწავლის პროცესში ინტენსიური იქნება როგორც ბერძენი ლექტორების საქართველოში ვიზიტი, ისე სტუდენტების ვიზიტი საბერძნეთში. ამას გარდა, აუცილებლად იქნება ზაფხულისა და ზამთრის სკოლები.

საბჭოს წევრს, დიანა მჭდლიშვილს ასევე აინტერესებდა თუ როგორ მოხდება კრედიტების მინიჭება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ განმარტა, რომ კრედიტის მინიჭება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2027 წლის 05 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" შესაბამისად. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში არ იქნება მრავალფეროვანი გაბნეული თემებით დატვირთული მიმართულება. ეს იქნება კონკრეტული თემატიკა, რომელიც იქნება ნაშრომის დიზაინის შექმნასა ან კვლევაზე ორიენტირებული.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, რუსო სანაძემ კურსების განაწილებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ორივე ინსტიტუციას უწერია, რომ თითოეული კურსის წაყვანს შესაძლებლობა აქვს, რაც უზრუნველყოფს მდგრადობას. სეზონურ სკოლებთან დაკავშირებით გაწერილია - მმართველი რგოლის უკუკავშირების დაბრუნება იმისთვის, რომ ფეხი აუწყონ მიმდინარე საჭიროებებს და სწრაფად ცვლად მოთხოვნებს კონკრეტული კვლევის კონტექსტში.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა კითხით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს კვლევითი კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, გაწერილი წინაპირობები ცოტა ბუნდოვანია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, რუსო სანაძემ განმარტა, რომ რადგან პროგრამაზე მომავალი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მკვლევრების მიღება არის განსაზღვრული, რომელთაც

შეიძლება სხვადასხვა მიმართულებით ჰქონდეთ გამოცდილება, აქედან გამომდინარე აიგო კვლევის კონსტრუქცია იმგვარად, რომ უკვე მაღალი დონის კვლევითი კომპეტენციები გამომუშავდეს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ დოქტორანტს კვლევით საქმიანობაში შესაძლოა კარგი გამოცდილება ჰქონდეს თავად სილაბუსი ისეა აგებული, რომ სხვადასხვა მეთოდები და სიღრმეები იყოს გათვალისწინებული თითოეული კვლევითი ფოკუსის გარშემო. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ დოქტორანტები 3 წლიან პერიოდში ვერ ახერხებენ დაცვას და მიზანი არის ის, რომ ეს ვადა იყოს რეალური და შესრულებადი. აქედან გამომდინარე, პროგრამა მოითხოვს კონკრეტული კურსების გავლას, რომელიც ისეთ აქტივობებს მოიაზრებს, რაც მათი კვლევით ინტერესთან არის და დიდი ალბათობით სადოქტორო ნაშრომთან არის დაკავშირებული. პარალელური კვლევითი აქტივობები იქნება სეზონური აქტივობების დროს, რაც, რეალურად, იქნება შემავსებელი და კვლევითი ანგარიშების გაკეთებას შეუწყობს ხელს. შემდეგ კი არის უკვე საბოლოო დაცვა იმ წესების გათვალისწინებით, რომელიც ინსტიტუციების მოთხოვნებში არის გაწერილი.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ ეს მოდელი არ არის ახალი. კვლევითი პროექტი 1 სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას ხელმძღვანელებთან ერთად განიხილოს რამდენად არის გამართული მისი ლიტერატურის მიმოხილვა, მეთოდოლოგიის ნაწილი. აქ მიღებული კომენტარები მას შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვაში ეხმარება.
სხდომის თავჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ღირებულება არის 10 000€, რასაც აფინანსებს განათლების სამინისტრო, სრულად 3 წელს. მას აინტერესებდა ეს დაფინანსება არის მხოლოდ ქართველი სტუდენტებისთვის თუ უცხოელებისთვისაც.
პროგრამის ხელმძღვანლმა, რუსო სანაძემ განმარტა, რომ როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტები დაფინანსდებიან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:24 დასრულების დრო: 15:38

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტის „განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 04 მარტამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტისა და ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტის „განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 04 მარტამდე.

საბჭოს სხდომა დატოვა დიმიტრი ჯაფარიძემ.

მეორე საკითხი: შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამა 1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: საბაკალავრო
კრედიტების რაოდენობა: 180
სწავლების ენა: ინგლისური
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კვალიფიკაციის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: საბაკალავრო
კრედიტების რაოდენობა: 180
სწავლების ენა: ქართული
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კვალიფიკაციის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

პროგრამა 3
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა)
საფეხური: სამაგისტრო
კრედიტების რაოდენობა: 120
სწავლების ენა: ქართული
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კვალიფიკაციის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშრისო ექსპერტმა, იოხენ ზიმერმანმა, აღნიშნა, რომ ეს არის ახალი უნივერსიტეტი და ახალ უნივერსიტეტებს ყოველთვის აქვთ ის გამოწვევა, რომ დაიმკვიდრონ თავი, მოიძიონ ხელმძღვანელები და ზოგადად მოახდინონ პროგრამის პოზიციონირება ბაზარზე. გამოიკვეთა რიგი საკითხები წინაპირობებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის მიზნებთან, პერსონალის შერჩევასთან და ამ ნაწილში პროცედურებთან დაკავშირებით. ზოგადად, საბაკალავრო პროგრამა არის საკმაოდ კარგი და შეიძლება მისი გაუმჯობესება, მაგრამ, რეალურად, უფრო დიდი გამოწვევაა ლოგისტიკის პროგრამის ნაწილი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საკმაოდ კარგი პროგრამაა, თუმცა განხორციელების ნაწილში ვაწყდებით ბევრ გასაუმჯობესებელ მხარეებს, რაც უნდა გამოსწორდეს. რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით საკმაოდ დიდი შრომაა გასაწევი, რომ პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს მოთხოვნებთან. უნივერსიტეტის არგუმენტირებულ დოკუმენტში ექსპერტთა ჯგუფმა ვერ ნახა ხელჩასაჭიდი არგუმენტები რეკომენდაციების შესაცვლელად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლადო მკერვალიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება რიგ რეკომენდაციებს ეთანხმება, თუმცა არის რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებისთვის გაუგებარია, რასაც ვერ გაიზიარებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთი მდინარაძემ ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც რეკომენდებულია, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და დარგობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ იყოს ინტეგრირებული დარგობრივი მახასიათებლები. ამ რეკომენდაციას დაწესებულება ვერ იზიარებს, რადგან დასკვნით დოკუმენტში ჩაწერილია, რომ პროგრამა შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და მითითებული სწავლების შედეგები უზრუნველყოფენ ბალანსს აკადემიურ ცოდნასა და პრაქტიკას შორის. რაც შეეხება პროგრამის შესაბამისობას დარგობრივ სტანდარტთან, აღინიშნა, რომ პროგრამაზე მუშაობისას ძირითადი საორიენტაციო დოკუმენტი იყო დარგობრივი მახასიათებელი. დაწესებულებამ წარმოადგინა ცხრილის სახით ის არგუმენტი რომ პროგრამა შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რუსუდან კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ ზუსტად ასევე არის წარმოდგენილი ცხრილის სახით სამაგისტრო პროგრამის შედეგები, თუ რამდენად შეესაბამება ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივ მახასიათებელს თითოეული შედეგი.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მეორე, მესამე და მეექვსე რეკომენდაციები ერთმანეთს ფარავს. საუბარია ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების შემუშავების და პერიოდული გადახედვის პროცესში დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობის სტრუქტურირებული მექანიზმები. მესამე რეკომენდაციის თანახმად რეკომენდებულია, შემუშავდეს გარე დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორიცაა პოტენციური დამსაქმებლები და პროფესიული ორგანიზაციები, სწავლის შედეგების გაზიარების ფორმალური პროცესები, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას. სააკრედიტაციო განცხადებასთან

ერთად უნივერსიტეტმა წარმოადგინა ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. დამატებით ექსპერტებმა გამოითხოვეს ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული და დანერგილი გამოკითხვის ფორმები, რაც მიეწოდათ მათ. ყველა ზემოთ აღნიშნული საუნივერსიტეტო რეგულაცია ისევე, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კომიტეტის სხდომის ოქმები აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით. თითოეული პროგრამისათვის სკოლის ფარგლებში ყალიბდება პროგრამის განვითარების კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის ლიდერთან ერთად პროგრამის შემუშავებისა და მისი განვითარების პროცესზე. წარმოდგენილი იქნა გარე კოლეგიალური შეფასებები როგორც უცხოური, ისე ქართველი კოლეგების მიერ. ეს დოკუმენტი ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში დანერგილია სწავლის შედეგების შემუშავებისა და პერიოდული განახლების მწყობრი სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების თუ აკადემიურ პერსონალის ჩართულობას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. განვითარების კომიტეტის დანიშნულებაა გაზიარებული იყოს შიდა საუნივერსიტეტო პროცესები სტუდენტებისა და ლექტორებისთვის. ხარისხის მართვის დეპარტამენტი შეისწავლის და განაზოგადებს პროგრამის განვითარებაში დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის და შეფასების მონაცემებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს შემდგომი განვითარებისათვის. პროგრამის განვითარებისა და მოდიფიცირების პროცესიც ამავე დოკუმენტშია წარმოდგენილი. ამ პროცესს პროგრამის ლიდერი და პროგრამის განვითარების კომიტეტი უზრუნველყოფს. ამავე კომიტეტით განსაზღვრულია გარე კოლეგიალური შეფასება 3 წელში ერთხელ, ასევე უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარება 2 წელში ერთხელ და მთელი ეს პროცესი, რომელიც აგებულია ტრადიციული და სტანდარტული დაგეგმვის განხორციელებისთვის, დაგეგმე -განავითარეს ციკლით ასახულია სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების განვითარების სხდომის ოქმებში. ეს ადასტურებს იმას, რომ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა აქვს მიღებული არამხოლოდ მოწვეულს და აკადემიურ პერსონალს, არამედ პოტენციურ დამსაქმებლებს, სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს. ერთადერთი ვისი მონაწილეობაც ვერ დადასტურდა არიან კურსდამთავრებულები, რაც ბუნებრივია, რადგან ისინი ჯერ არ ჰყავს პროგრამას. მეოთხე რეკომენდაციაში რეკომენდებულია, ყველა პროგრამის ფარგლებში დაინერგოს რეგულარული ინტერვალებით სწავლის შედეგების შესახებ მონაცემების განსაზღვრის, შეგროვების და ანალიზის სტანდარტიზებული პროცესი. დაწესებულება ვერ ეთანხმება ვერც ამ რეკომენდაციას. ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში სწავლის მეთოდების შეფასების მექანიზმი დეტალურად არის აღწერილი. აღნიშნულია, რომ სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა ხდება მათი აკადემიური მოსწრების ანალიზით, რაც მოიცავს პროგრამისა და სილაბუსის დონეზე მონაცემთა დამუშავებას, პროცენტული განაწილების დინამიკით დაკვირვებას. არსებული მეთოდი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ რამდენად რთული ან მარტივია სასწავლო კურსის პროგრამები, შეფასების ფორმები რამდენად ადეკვატურია, რამდენად მაღალია მომზადების დონე და ა.შ. უნივერსიტეტში დანერგილი მონიტორინგის სისტემა, შეფასების ტექნიკა არის მოცემული შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებში. ეს ტექნიკა გულისხმობს სასწავლო ელექტრონული პროგრამის მეშვეობით იმის განსაზღვრას თუ პროგრამაზე არსებული სტუდენტების საერთო რაოდენობიდან რამდენმა პროცენტმა მიაღწია სწავლის შედეგს. მონაცემები ედარება სამიზნე ნიშნულებს. გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია. რაც შეეხება პერიოდულობას, შიდა საუნივერსიტეტო მექანიზმის ფარგლებში პროგრამის სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გაზომვა ხდება აკადემიურ წელიწადში ერთხელ, აღნიშნული სასწავლო კურსის ხელახლა განხორციელებამდე არაუგვიანეს 1 თვისა, რაც ედარება პროცენტულ მაჩვენებელს. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა ხდება პროგრამაზე თანდართული შეფასების გეგმის მიხედვით. სწავლის შედეგების გადახედვა და მონიტორინგი ხორციელდება საბაკალავრო საფეხურზე 3 წლიან დინამიკაზე დაკვირვებით, მაგისტრატურის შემთხვევაში 2 წლიან

დინამიკაზე. ამის შემდეგ თუ გამოვლინდა რეგრესი, ხდება სწავლის შედეგებისა და მიზნების გადახედვა და პროგრამის მოდიფიცირება არსებული რეგულაციის შესაბამისად.
ქეთი მდინარაძემ სწავლის მეთოდებთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ საკითხთან მიმართებით არაერთი ჩანაწერი არის დასკვნაში. სწორედ ის შეფასების მეთოდებია გამოყენებული, რაც მითითებულია დარგობრივ მახასიათებელში. შესაბამისობაშია, ერთის მხრივ, სილაბუსების სწავლის შედეგებთან და მეორე მხრივ, სწავლის მეთოდების - სწავლის შედეგებთან, რომელიც მოცემულია მესამე დანართში.
ნინო სეფაშვილმა მეთორმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ისაუბრა. რეკომენდებულია, პერსონალის რეზიუმეებში აისახოს სრულყოფილი მონაცემები პუბლიკაციების, პროექტების და სხვა რელევანტური სამეცნიერო აქტივობების შესახებ. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საერთო ფორმა, ნებისმიერ პერსონალს აკადემიურსა თუ მოწვეულს აქვს ვალდებულება შეავსოს აღნიშნული ფორმა. შესაბამისად რა დოკუმენტებიც არის საჭირო პერსონალისთვის ყველაფერს მოიცავს ეს ფორმა. რეზიუმეებში სრულყოფილად არის წარმოდგენილი ეს ინფორმაცია, ამიტომ ვერ იზიარებენ აღნიშნულ რეკომენდაციას. გარდა ამისა, პერსონალის კვლევითი ინტერესების შესახებ ინფორმაცია არის წარმოდგენილი უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რისი ნახვაც ყველასთვის ხელმისაწვდომია. ლოგისტიკის პროგრამასთან დაკავშირებითაც იყო მსგავსი რეკომენდაცია. ეს გაიზიარა ინსტიტუციამ, რადგან მიზანი არის ის, რომ სამიზნე ნიშნულებს მიაღწიოს პროგრამამ. დასკვნაში მითითებული იყო, რომ პროგრამაში არსებული პერსონალი განათლებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე საკმარისი იყო, თუმცა ცოტა ბუნდოვანია იმ ცვლილებების შემდეგ, რაც განახორციელა უნივერსიტეტმა ეს რეკომენდაცია კვლავ რომ ძალაშია. დასკვნაში იყო რიგი უზუსტობები, რომლებმაც უნივერსიტეტი გაუარესებულ მდგომარეობაში ჩააყენა. იგულისხმება ადამიანის რესურსების შესახებ რიცხობრივი ინფორმაცია, რომელიც აღნიშნული აქვს დაწესებულებას დოკუმენტებში.
ლადო მკერვალიშვილმა მე-17 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტის სამწლიან პროგრამაზე დაწესებულებამ ბევრი იმუშავა, დოკუმენტები, რომელიც 3 წლიანი გეგმის შესაბამისობაში მოდის. ბიუჯეტი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და აკრედიტაციების სტანდარტების შესაბამისობას. დოკუმენტი მოიცავს პერსონალის სახელფასო სოლიდურ ფონდს, მატერიალურ სტიმულირებას, წახალისებას, ინფრასტრუქტურული განვითარების ხარჯებს. 2025 წლის ხარჯებისათვის გამოყოფილია 200 000 ლარი. ამიტომ ეს რეკომენდაცია, დაწესებულების აზრით, არ არის გასათვალისწინებელი.
დაწესებულების წარმომადგენელმა მე-18 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ყოვლისმომცველ თვითშეფასებას. ეს რეკომენდაცია ექსპერტთა განმარტებით ინსპირირებულია დასკვნის 1.4 დანართში მითითებული მიგნებები. დაწესებულებას მიაჩნია, რომ ამ სტანდარტის აღწერილობით ნაწილში რა მითითებებიც არის მოცემული ისინი თავად არ წარმოადგენენ წყაროებს. საკითხები ეხება ცირკულარული ეკონომიკის სასწავლო კურსის წინაპირობას და მეორე - ბიზნეს სამართლის კურსის წინაპირობას. ცირკულარული ეკონომიკის სასწავლო კურსის ხელმძღვანელის აზრით ეკონომიკის პრინციპების სასწავლო კურსის გავლა არ არის აუცილებელი ცირკულარული ეკონომიკის თემატიკის შესასწავლად, ვინაიდან სასწავლო კურსის შინაარსი ეყრდნობა მდგრადი განვითარების მიზნებს და მისი მიზანია სტუდენტს მისცეს საბაზისო ცოდნა ცირკულარული ეკონომიკისა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით. ბიზნესის სამართლის წინაპირობასთან დაკავშირებული რეკომენდაციაც არ იქნა გაზიარებული დაწესებულების მიერ, რადგან რეკომენდირებულია ისეთი სასწავლო კურსის ჩასმა, როგორიც არის „გადასახადები და დაბეგვრა“. ბიზნესის სამართალი ისწავლება მეოთხე სემესტრში. პროგრამა ითვალისწინებს ისეთ სასწავლო კურსს, როგორიცაა გადასახადები და დაბეგვრა, მაგრამ ეს არის არჩევითი საგანი, ამიტომ ვერ იქნება ბიზნეს სამართლის წინაპირობა. გარდა ამისა,

გადასახადების სახეების შესახებ ცოდნას სტუდენტი იღებს ეკონომიკის პრინციპების სასწავლო კურსიდან, რომელსაც გადის პირველ სემესტრში. პროგრამის შემუშავებისას გამოკვლეული იქნა სხვა უნივერსიტეტების გამოცდილებაც, სადაც დასტურდება, რომ ბიზნესის სამართალი წინაპირობების გარეშე ისწავლება უმეტეს შემთხვევაში. სწორედ იმიტომ არ იქნა გაზიარებული რეკომენდაცია.

რუსუდან კვარაცხელიამ 22-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველაზე მთავარი, რაც ამყარებს ლოგისტიკის საჭიროებას არის ქვეყნის პოლიტიკა, სტრატეგიული განვითარების დოკუმენტები. უნივერსიტეტის მიერ დაკვეთილი დამსაქმებელთა და შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში კვლევის რაოდენობრივ შედეგებთან ერთად გამოყენებულია ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი, კერძოდ, 5 რეალური ფუნქციონალირებადი კომპანიის წარმომადგენლებთან ჩატარდა ინტერვიუ და გამოვლინდა, რომ ნებისმიერი თანამედროვე კომპანია დგას დისტრიბუციის, მომარაგების, დასაწყობების, მიწოდების და სხვა პროცესების გამოწვევების წინაშე, რაც ქმნის იმის აუცილებლობას, რომ დანერგონ ეფექტიანი ლოგისტიკის სისტემა, რათა ორგანიზებულად, დროულად და ზუსტად დაბალი დანახარჯებით მიიღონ მაღალი ეკონომიკური სარგებელი. ამისათვის საჭიროა კომპანიაში დაასაქმონ მაღალკვალიფიციური კადრები ლოგისტიკის სპეციალობით. აქედან გამომდინარე, პროგრამაში გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების განვითარება თანხვედრაშია რეალური სამყაროს მოთხოვნებთან და ემსახურება წვლილის შეტანას საზოგადოებისა და ინდუსტრიის განვითარებაში. აქვე საგულისხმოა, რომ კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ფორმირების ეტაპზე უზრუნველყოფილი იქნა როგორც დამსაქმებლების, ისე დარგის სპეციალისტების უშუალო ჩართულობა. აღნიშნული დასტურდება სამივე პროგრამაზე წარმოდგენილი სხდომის ოქმებით.

ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა, მე-18 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ის ეხება 1-4 სტანდარტებში გაცემულ რეკომენდაციებს და არა 1.4 სტანდარტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა 25-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ინგლისური ენის დონეების შეთავაზებას, აღნიშნა, რომ სამივე პროგრამაზე არის ენა შეთავაზებული დონეების თანმიმდევრობის სრული დაცვით. ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვან პროგრამაზე სტუდენტი შემოდის B1 დონეზე და პირველივე სემესტრში იგი გადის ინგლისური ენის კურს, რომლის სასწავლო შედეგით სტუდენტი გადადის B2 დონეზე. შესაბამისად მას მომდევნო სემესტრებში შეუძლია აითვისოს პროფესიული ბიზნეს ინგლისურის ორივე კურსი, რომელიც გათვალისწინებულია მე-2 და მე-3 სემესტრში.

26-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მასში საუბარია საბაკალავრო ნაშრომის შეფასებისას შუალედური შეფასების კომპონენტების დამატებაზე. საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებით დაწესებულებამ იხელმძღვანელა მე-3 ბრძანების მიხედვით. შუალედური შეფასების ეტაპზე 60 ქულიდან ნახევარზე მეტის მიუღებლობის შემთხვევაში ვერ გადავა საჯარო დაცვის ეტაპზე. ფინალური შეფასება ხდება 10 კომპონენტით. 60-70 ქულას შუალედურზე აგროვებს სტუდენტი, რომელსაც რეცენზენტი წერს და 30-40 ქულას საბოლოო ნაშრომში იღებს. 41-ე რეკომენდაცია ეხება სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურისა და არქიტექტონიკის მოდიფიცირებას. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი არც ამ ნაწილს იზიარებს, რადგან სამაგისტროს სტრუქტურასა და არქიტექტონიკაზე ერთიანი რეგულაცია არ არსებობს. ამასთან უნივერსიტეტები თვითონ განსაზღვრავენ სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურასა და არქიტექტონიკას. არ გათვალისწინების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ის მაინც გადის სასურველ შედეგზე.

ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნის ნარატივი წარმოდგენილია პროგრამის ძლიერი მხარედ, რომ პროგრამა შესაბამისობაშია ლოგისტიკის გლობალურ ბუნებასთან, მიზანი პასუხობს საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და მოთხოვნებს, ხაზს უსვამს ინოვაციასა და მდგრადობას, პროგრამა აერთიანებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდოლოგიას. აღნიშნული შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და მიმართულია პროფესიონალის მომზადებაზე. დაწესებულება

აღნიშნულ რეკომენდაციებს ვერ გაიზიარებს მაშინ, როცა თავად ექსპერტები საუბრობენ პროგრამის შესაბამისობაზე დასკვნაში. ასევე, მაგისტრატურის პრაქტიკის სილაბუსთან დაკავშირებით ექსპერტთა მიერ აღნიშნულია, რომ ვიზიტისას საუბარი იყო არჩევით კურსში გადასვლაზე. ამას არ იზიარებს დაწესებულება, რადგან პროგრამის წინაპირობა არ ითვალისწინებს იმას, რომ სტუდენტი უნდა იყოს აუცილებლად ლოგისტიკის მცოდნე ან შრომის ბაზრიდან. ამიტომ მნიშვნელოვანია პრაქტიკის ნაწილი იყოს როგორც სავალდებულო სასწავლო კომპონენტი და ის თანაბრად საინტერესო იქნება ყველა იმ სტუდენტისთვის ვინც გადაწყვეტს ჩაირიცხოს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად აღნიშნულ პროგრამაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამაზე ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებით დაწესებულება პირველ სემესტრში სტუდენტს სთავაზობს ინგლისური ენა B1.1-ს ან ინგლისური ენა B1.2-ს, ხოლო მეორე სემესტრში შეთავაზებულია ბიზნეს ინგლისური 1, რომლის წინაპირობა შეიძლება იყოს ან ერთი ან მეორე. ამავდროულად ეროვნულ გამოცდებზე დაკონკრეტებული არ არის, რომ სტუდენტმა უნდა ჩააბაროს კონკრეტული ენა, თუმცა მათთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე აბარებს უკვე სავალდებულოა B1 დონეზე ცოდნა ინგლისური ენისა. მას ეს დამაზუსტებელი კითხვა აქვს ინსტიტუციასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ როცა სტუდენტი ირიცხება აღნიშნულ პროგრამაზე, უნივერსიტეტი ტესტით განსაზღვრავს ინგლისური ენის ცოდნას და სტუდენტი ხვდება ან B1.1 ჯგუფში, ანაც B1.2-ში. თუმცა ორივე ჯგუფში უნდა გადიოდეს ერთნაირ შედეგზე, რომ მეორე სემესტრში უკვე არ გაუჭირდეს ბიზნეს ინგლისურის გავლა.

თამარ ტუფინაშვილმა პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით კითხვით კვლავ დაწესებულებას მიმართა. პროგრამაში მითითებულია, რომ 180 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი არის 165 კრედიტი, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 10 კრედიტი, ზოგადი არჩევითი კომპონენტი - 5 კრედიტი. მას აინტერესებდა იყო თუ არა თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მეშვიდე სემესტრში არის წარმოდგენილი 5 კრედიტი არჩევით კურსად.

თამარ ტუფინაშვილს აინტერესებდა, სასწავლო კურსის ჩაბარება რამდენად არის ის რელევანტური მაჩვენებელი, რომლითაც შეიძლება ვიმსჯელოთ კონკრეტული შედეგის დადგომაზე. გამომდინარე იქიდან, რომ თითოეულ სასწავლო კურსში ხდება სხვადასხვა უნარების განვითარება და სხვადასხვა უნარების მიღწევა. მას აინტერესებდა რამდენად მოხდება სწორად იდენტიფიცირება დადგა თუ არა პროგრამის შედეგი კონკრეტული სასწავლო კურსის იმ დიდი პროცენტული მაჩვენებლის მითითების შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს პროცენტული მაჩვენებელი ნიშნავს იმას, თუ რა რაოდენობამ დაძლია სწავლის შედეგი ჯგუფში. თუ მიღწეულია გარკვეული პროცენტული რაოდენობა ნიშნავს იმას, რომ მიღწეულია სწავლის შედეგი.

გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა აქვს თუ არა პროგრამას რესურსი და შესაძლებლობა განხორციელებისა და რა იქნება ამის ოპტიმალური დრო.

იოხენ ზიმერმანმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს საკმარისი ადამიანური რესურსი, რომ აკადემიურ დონეზე განხორციელდეს პროგრამა. ის ქსელი, რომელსაც პროგრამა ეფუძნება არ არის საკმარისად ფართო პროგრამის საკმარის დონეზე განხორციელებისათვის. აღნიშნული საკითხების გასაუმჯობესებლად მინიმუმ 2 წელი მაინც იქნება საჭირო.

გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, თუ არის დაშვებული შეცდომები წინაპირობებში, გასასწორებელია თანმიმდევრობა, მოსაგვარებელია სწავლის შედეგების გაზომვის საკითხები და ა. შ. მაშინ რა სამუშაო აქვს ჩატარებული ხარისხის სამსახურს და რატომ არის შეფასებული ის როგორც მეტწილად შესაბამისი?

ია ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ხედვით დაწესებულების ხარისხის სამსახურს კარგად აქვს აწყობილი მექანიზმები. ახალი ინსტიტუციაა და ჯერ გამოცდილებაც არ აქვთ, ამიტომ რადგან მექანიზმები გამართულია და პრაქტიკაში იმპლემენტაციისთვის დრო და გამოცდილება არის საჭირო ორმაგი აღრიცხვის თავიდან არიდების მიზნით აღინიშნა, რომ მე-5 სტანდარტი არის „მეტწილად შესაბამისობაში“.
გიორგი ღაღანიძემ ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ხელფასის ფონდში გათვალისწინებულია 1 633 000 ლარი, თუმცა ჯერ სტუდენტი არ გყავთ. თუ დაწესებულება 100 სტუდენტის მიღებას გეგმავს რა უნდა იყოს სწავლის გადასახადი, რომ ბიუჯეტი შესრულდეს?
ინსტიტუციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბიუჯეტირების პროცესი აგებულია შიდა საუნივერსიტეტო მექანიზმით და წარმოდგენილია 3 წლიანი ბიუჯეტი. დაწესებულებას არ აქვს სკოლების მიხედვით ცალ-ცალკე ბიუჯეტი, თუმცა თავად ბიუჯეტში პროგრამების დაფინანსებები ცალკეა ჩაშლილი. სახელფასო უზრუნველყოფას უნივერსიტეტის საერთო საუნივერსიტეტო შემოსავლებიდან გეგმავს.
გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ლოგისტიკის კურსი, რომელიც იკითხება მაგისტრატურაში დონესთან უნდა მოვიდეს შესაბამისობაში. კურსი არ უნდა იწყებოდეს საწყისი ცნებების განმარტებით.
რუსუდან კვარაცხელიამ განმარტა, რომ არ არის გამორიცხული, რომ სტუდენტს არ ჰქონდეს განათლება ბიზნესის კუთხით, თუმცა გასათვალისწინებელია აღნიშნული რჩევაც.
დიანა მჭედლიშვილმა „მათემატიკა ბიზნესისთვის“ კურსის სილაბუსთან მიმართებით აღნიშნა, რომ თემატიკა, მიზანი, შედეგები კარგად არის გაწერილი, თუმცა მას აინტერესებდა თუ რამდენად შესაძლებელი იქნება ერთი სემესტრის ფარგლებში ასეთი დატვირთული თემატიკა იმის ფონზე, რომ კვირაში 3 საკონტაქტო საათია გათვალისწინებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამისთვის მათემატიკის საგნები არ არის გადატვირთული და ერთი სასწავლო კურსია მხოლოდ. ეს საკითხები არის შესავალი საკითხები და მიჩნეულ იქნა, რომ სამი საკონტაქტო საათი შესავალი თემებისთვის საკმარისი უნდა იყოს სირთულის დასაძლევად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:22
დასრულების დრო: 17:47

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 04 მარტამდე და წელიწადსა და ექვს თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6} მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^{1}$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 04 მარტამდე წელიწადსა და ექვს თვეში (04/09/2026) მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 04 მარტამდე და წელიწადსა და ექვს თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ1“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 04 მარტამდე წელიწადსა და ექვს თვეში (04/09/2026) მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2 წლის ვადით - 2027 წლის 04 მარტამდე

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ემუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის

53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით 2027 წლის 04 მარტამდე.

სხდომა დასრულდა დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 2025 წლის 04 მარტის 17:48 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა